



USAID
FROM THE AMERICAN PEOPLE



EPRC
Economic Policy Research Center
ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი


USAID Economic Governance Program



**საქართველოს
ენერჯიტიკის
მიმხედვა**



2023



საქართველოს ენერჯეტიკისა და ენერჯიკომოკიდებულების მიმოხილვა



USAID
FROM THE AMERICAN PEOPLE



Economic Policy Research Center
ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი

USAID Economic Governance Program

პუბლიკაცია მომზადებულია ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრის (EPRC) მიერ USAID-ის ეკონომიკური მმართველობის პროგრამის გრანტის ფარგლებში. ეს შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის მიერ USAID-ის მეშვეობით გაწეული დახმარების შედეგად. დოკუმენტში გამოთქმული მოსაზრებები შეიძლება არ ემთხვეოდეს აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ან აშშ-ს მთავრობის პოზიციას.

პუბლიკაცია მომზადდა პროექტის ეკონომიკური დამოკიდებულების ინდექსი (EDI)
<https://eprc.ge/economic-index/> ფარგლებში

სარჩევი

მთავარი მიგნებები	4
შესავალი	6
საქართველოს ელექტრო ენერჯის მოხმარება და იმპორტდამოკიდებულება	7
საქართველოს ენერგეტიკის ისტორია	7
2007-2011 წლების საქართველოს ელ-ენერჯის ბალანსი	9
საქართველოს ბუნებრივი აირის მოხმარება და იმპორტდამოკიდებულება	12
საქართველოს ნავთობპროდუქტების მოხმარება და იმპორტდამოკიდებულება	13
იმპორტდამოკიდებულების საფრთხეები მმარდი მოთხოვნის პირობებში	13
მნიშვნელოვანი ფაქტორები, რამაც ტენდენციების ჩამოყალიბებამე იმოქმედა	15
ახალი ხელშეწყობის მექანიზმი - ფასთა სხვაობის ხელშეკრულება	16
ელ ენერჯის მომხარების მრდის პროგნომები	18
საქართველოს განახლებადი ენერჯის პოტენციალი	22
დასკვნა	24

მთავარი მიგნებები

- საქართველოს ელექტროენერჯეტიკული სექტორი ძირითადად დამყარებულია შემდეგ წყაროებზე: ჰიდრო, თბო და განახლებადი ენერჯის (ძირითადად ქარის) ელექტროსადგურები და იმპორტი. ამასთან, საქართველოში ოპერირებადი თბოელექტროსადგურებიც აზერბაიჯანიდან იმპორტირებულ ბუნებრივ აირზე მუშაობენ. ელ. ენერჯის პირდაპირი იმპორტის გათვალისწინებით, საქართველო ელ. ენერჯის მომარაგების მხრივ დაახლოებით 40%-ითაა დამოკიდებული მეზობელ ქვეყნებზე წლის ჭრილში, თუმცა ზოგ თვეებში ეს დამოკიდებულება 60% ს აჭარბებს, რადგან ჩვენი სადგურების დიდი ნაწილი, კერძოდ კი მდინარის მოდინებაზე მომუშავე ჰესები სეზონური გამომუშავებით ხასიათდება;
- 2012-2022 წლებში საქართველოში 54 ახალი სადგური, ანუ ჩვენი ქვეყნის მთლიანი დადგმული სიმძლავრის 26% (მეოთხედზე მეტი) აშენდა. 2012-2022 წლებში აშენებული სადგურების 61% ჰესები, ხოლო 39% თბოსადგურები იყო;
- საქართველოს მოხმარება 10 წლის განმავლობაში ყოველწლიურად მნიშვნელოვნად იზრდებოდა და 2022 წლისათვის 15 მილიარდს მიაღწია. ქვეყანაში ენერჯომომხმარების ზრდის ტემპი მნიშვნელოვნად აღემატება წარმოების მასშტაბის ზრდას, შესაბამისად, 2012 წლიდან 2022 წლამდე ქვეყნის შიგნით გამომუშავებული ელ.ენერჯის წილი 89%-დან 69%-მდე შემცირდა, რაც გვიჩვენებს, რომ ქვეყნის ენერჯოდამოკიდებლობის და ენერჯოსაფრთხოების მაჩვენებელი წლიდან წლამდე საგრძნობლად კლებულობს;
- 2012-2022 წლებში ამ პერიოდში ყველაზე მეტი ელ.ენერჯია საქართველოს რუსეთიდან აქვს შეძენილი. ბოლო ათწლეულის განმავლობაში რუსეთიდან შეძენილმა ელექტროენერჯამ, მთელი იმპორტის 52% შეადგინა, თუმცა წლების განმავლობაში რუსეთიდან იმპორტის წილი 15%-დან 95%-მდე მერყეობდა;
- საქართველოს ენერჯომომხმარებაში მნიშვნელოვანია აფხაზეთის ენერჯომომხმარების წილი. 2020 წლის მონაცემებით აფხაზეთის მხარეში ენერჯომომხმარებამ ენჯურჰესის გენერაციის 93% შეადგინა და აფხაზეთში მცხოვრები მოსახლეობის ერთ სულზე მოხმარება 3.3-ჯერ აჭარბებს მოხმარებას დანარჩენ საქართველოში, რაც საქართველოს ელექტროდამოკიდებულების ზრდაში გარკვეული ფაქტორია. 2022 წელს ელექტროენერჯის იმპორტის 82.5% რუსეთიდან განხორციელდა და მოწოდებული ელექტროენერჯის ნახევარი აფხაზეთის რეგიონმა მოიხმარა. (თუმცა ამ ელექტროენერჯიას რუსეთი ე.წ. სპეციალურ ფასად გვაწვდის);
- რუსულ ენერჯომატარებლებზე დამოკიდებულების ზრდა შეიმჩნევა ბუნებრივი აირის იმპორტის მიმართულებითაც. 2016 წლიდან მოყოლებული რუსეთიდან ბუნებრივი აირის იმპორტის წილი 5%-დან 2021 წელს 15%-მდე, ანუ 3-ჯერ გაიზარდა;
- ნავთობპროდუქტების წარმოება საქართველოში ძალიან მცირე რაოდენობით ხდება და ქვეყანა ფაქტობრივად მთლიანადაა დამოკიდებული იმპორტზე. ბოლო წლების განმავლობაში საქართველო სტაბილურად 1.4-1.5 მლნ ტონა სხვადასხვა ტიპის ნავთობპროდუქტებს ყიდულობს, საიდანაც ერთ მესამედს საავტომობილო ბენზინი, მეროე მესამედს სატრანსპორტო დიზელი, ხოლო დანარჩენს ნედლი ნავთობი, რეაქტიული ძრავების ნავთი და სხვა ნავთობპროდუქტები შეადგენს. 2021 წლამდე ნავთობპროდუქტების იმპორტი საქართველოში საკმაოდ დივერსიფიცირებული იყო, თუმცა 2019 წლიდან 2023 წლამდე ნავთობპროდუქტების იმპორტში რუსეთის წილი 20 პროცენტით გაიზარდა და 46%-მდე ავიდა;
- ზოგადად, აღსანიშნავია რუსეთზე იმპორტდამოკიდებულების ზრდა (განსაკუთრებით ბოლო

→ საქართველოს ენერჯეტიკისა და ენერგოდამოკიდებულების მიმოხილვა

4 წლის განმავლობაში) ისეთ სასიცოცხლო და ქვეყნისთვის სტრატეგიულად მნიშვნელოვან, ფაქტობრივად უსაფრთხოების რანგში განსახილველ პროდუქტებზე, როგორცაა ელექტროენერჯია (51,6 % 2022 წელს, 2019 წელს 29%); ბუნებრივი აირი (24,4% 2022 წელს, 2019 წელს 10,9%); ნავთობი და ნავთობპროდუქტები (46,6% 2022 წელს, 26% – 2019 წელს);

- 2021 წელს თბოელექტროსადგურების დატვირთვა მაქსიმუმამდე გაიზარდა, წლიურად 42.4%-ით. თუმცა ამ ფაქტმა ბუნებრივი აირის იმპორტის ზრდაც გამოიწვია, რადგან ეს სადგურები იმპორტირებულ აირზე მუშაობენ. შესაბამისად, გაიზარდა რუსეთიდან იმპორტირებული ბუნებრივი აირის რაოდენობაც. შესაბამისად, თბოელექტროსადგურების ხარჯზე ელ.ენერჯიის იმპორტის რაოდენობის შემცირება ჩვენს ენერგოდამოკიდებულებას მეზობელ ქვეყნებზე და განსაკუთრებით რუსეთზე დიდწილად არ ამცირებს;
- საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის საქართველოს გადამცემი ქსელის ათწლიანი განვითარების გეგმის პროგნოზით ქვეყნის მთლიანი მოხმარება 2033 წლისთვის 20 მლრდ. კვტ. სთ.-ს გადააჭარბებს. (ანუ ზრდა მინიმუმ 25%-ია). საქართველოს ენერგოდამოკიდებულებების შემცირების პრაქტიკულად ერთადერთი გზა საკუთარი განახლებადი ენერჯიის რესურსების ათვისება, ელექტროენერჯეტიკის წარმოების გაზრდა და ახალი ჰიდრო, ქარის, მზის, ალტერნატიული ენერჯიის სადგურების მშენებლობაა.

შესავალი

ენერჯეტიკული უსაფრთხოება (ენერგოუსაფრთხოება) ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტია და გულისხმობს ქვეყნისა და მისი თითოეული მოქალაქის მუდმივ, გარანტირებულ და ფინანსურად ხელმისაწვდომ უზრუნველყოფას, საკმარისი რაოდენობისა და ხარისხის ენერჯეტიკული რესურსით.

ეს ნიშნავს, რომ ქვეყნის აბსოლუტურად ყველა მოქალაქეს უნდა ჰქონდეს საშუალება მისაწვდომ ფასად უწყვეტად შეიძინოს ელექტროენერჯია, საწვავი – ნავთობი, გაზი და სხვა ენერგო რესურსები, როგორც მოკლევადიან (ტექნიკური შეფერხების, დივერსიების და საგანგებო მდგომარეობის წინააღმდეგ დაცულობის გათვალისწინებით), ასევე გრძელვადიან პერსპექტივაში (მოთხოვნის ზრდის პირობებში ახალი წყაროების განვითარება, იმპორტის ხელმისაწვდომობა და ოპტიმალური ფასების უზრუნველყოფა).

მიუხედავად იმისა, რომ ენერჯეტიკული უსაფრთხოება ეროვნული უსაფრთხოებისა და ბუნებრივ რესურსებზე ხელმისაწვდომობის კავშირია მათი მოხმარების პროცესში, აბსოლუტური ენერჯეტიკული უსაფრთხოება არ არსებობს. ყოველთვის არსებობს ენერგომომარაგების შეფერხების, შეწყვეტის, ან გაძვირების რისკი. აუცილებელია, ეს რისკები კონტროლს ექვემდებარებოდეს და არ იწვევდეს ქვეყნისთვის კრიტიკულ საფრთხეებს.

ქვეყანა ენერგოდამოუკიდებელია, როცა ქვეყანას საკუთარი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად საკმარისი საწვავისა და ელექტროენერჯიის წარმოება შეუძლია. ენერჯეტიკული დამოუკიდებლობის მიღწევას ძლიერი და სხვადასხვა ტიპის ენერჯით მდიდარი ქვეყნები ცდილობენ.

ენერჯეტიკული უსაფრთხოება და ენერჯეტიკის ხელმისაწვდომობა, ზოგადად, გავლენას ახდენს ადამიანის ძირითადი საჭიროებების უზრუნველყოფაზე და მდგრადობაზე. გარდა ამისა, ხელს უწყობს ქვეყნის ეკონომიკურ ზრდას, პოლიტიკურ სტაბილურობას და სხვა სექტორების მთლიან განვითარებასა და უსაფრთხოებას.

საქართველოს ენერჯეტიკული უსაფრთხოება და დამოუკიდებლობა ამჟამად კომპლექსურ, გარდამტეხ ეტაპზე იმყოფება. **ენერგომოთხოვნის სწრაფი ზრდა ენერჯეტიკულ უსაფრთხოებას საქართველოსთვის გამოწვევად აქცევს.**

წინამდებარე ნაშრომში განხილულია საქართველოს ენერჯეტიკის განვითარების გზა, რომელიც სექტორმა ბოლო 30 წლის განმავლობაში გამოიარა, ამჟამინდელი მდგომარეობა, დარგის გამომწვევები და ის დიდი პოტენციალი, რომელიც ქვეყანას განახლებადი ენერჯის რესურსების სახით გააჩნია.

საქართველოს ენერგომომარაგება უმეტესწილად გარე წყაროებზეა დამოკიდებული. საქსტატის მონაცემებით, თითქმის ნახევარს იმპორტირებული აირი წარმოადგენს, რომლის 15%-ს რუსეთიდან ვყიდულობთ, 85%-ს აზერბაიჯანიდან, რომლის იმპორტსაც თბილისი-ბაქო-ჯეიჰანის მილსადენიდან ვახდენთ. საქართველო ნავთობსა და ბუნებრივ აირზე დამოკიდებულებას ვერ წყვეტს, რადგან ამ რესურსების მოპოვება ქვეყანაში ფაქტობრივად არა ხდება. თუმცა, ამავდროულად, საერთაშორისო სატრანზიტო დერეფნების არსებობა, უსაფრთხოების გარკვეულ გარანტიებს იძლევა. **ენერგოდამოუკიდებლობის მოპოვების ყველაზე დიდი შანსი ელ.ენერჯის მხრივ გვაქვს, თუმცა ქვეყანა აქაც მეზობელ ქვეყნებზეა დამოკიდებული.**

საქართველოში ოპერირებადი თბოელექტროსადგურებიც აზერბაიჯანიდან იმპორტირებულ ბუნებრივ აირზე მუშაობენ, რასაც ელ. ენერჯის პირდაპირ იმპორტს თუ დავუმატებთ, გამოვა, რომ

→ საქართველოს ენერგეტიკისა და ენერგოდამოკიდებულების მიმოხილვა

საქართველო ელ. ენერჯის მომარაგების მხრივ დაახლოებით 40%-ითაა დამოკიდებული მეზობელ ქვეყნებზე წლის ჭრილში, თუმცა, ზოგ თვეებში ეს დამოკიდებულება 60%-ს აჭარბებს, რადგან ჩვენი სადგურების დიდი ნაწილი, კერძოდ კი მდინარის მოდინებაზე მომუშავე ჰესები სეზონური გამომუშავებით ხასიათდება.

მიუხედავად იმისა, რომ ამჟამად საქართველო საკმარისი რაოდენობით ელექტროენერჯის ვერ აწარმოებს, საკუთარი მცირე მასშტაბის მიუხედავად ქვეყანა მდიდარია სხვადასხვა ტიპის განახლებადი ენერჯის პოტენციალით, რომლის ათვისების შემთხვევაში საქართველოს არამხოლოდ იმპორტის აღმოფხვრის საშუალება მიეცემა, არამედ შეძლებს ელექტროენერჯია ექსპორტზეც გაიტანოს და ამით ეკონომიკური მდგომარეობა გააუმჯობესოს.

საქართველოს ელექტრო ენერჯის მოხმარება და იმპორტდამოკიდებულება


საქართველოს ენერჯეტიკის ისტორია

დამოუკიდებლობის აღდგენამდე, საქართველოში 45 ჰესი (დადგმ. სიმძლავრით 2893 მგვტ) და 2 თბოელექტრო სადგური (დადგმული სიმძლავრით 380 მგვტ) ფუნქციონირებდა¹.

ისტორიულად ყველაზე მაღალი მოხმარება, ესკოს მონაცემებით, საქართველოს 1980-1989 წლებში ჰქონდა. 1980 წელს მოხმარება 13.9 მლრდ კვტ.სთ იყო, რაც დაახლოებით საქართველოს დღევანდელ მოხმარებას უტოლდება. ამ წელს საქართველოს გენერაციამ ელ.ენერჯიაზე მოთხოვნა დააკმაყოფილა და ექსპორტზეც კი გაიტანა, თუმცა დეკადის ბოლოს, 1989 წელს მოხმარება 17.9 მლრდ კვტ.სთ-მდე გაიზარდა, რის გამოც 2.1 მლრდ კვტ.სთ ელ.ენერჯის იმპორტის განხორციელება გახდა საჭირო². საქართველოს ელ.ენერჯიაზე ასეთი დიდი მოთხოვნა ქვეყანაში მიმდინარე ინდუსტრიული პროცესებით იყო გამოწვეული.

მიუხედავად იმისა, რომ ქვეყნის ენერგეტიკა ამ პერიოდში განვითარების მაღალ ეტაპზე იყო, სსრკ-ს დაშლამ და მათი ენერგეტიკული ქსელიდან გამოთიშვამ, დარგი ფაქტობრივად გაანადგურა და ჩვენმა ყოველწლიურმა მოხმარებამაც ეტაპობრივი კლება დაიწყო. საქართველოს 1990 წლის რეკორდული რაოდენობის მოხმარება 17.4 მლრდ კვტ.სთ-დან 2002 წელს 7.7 მლრდ კვტ.სთ-მდე ჩამოვიდა (გრაფიკი 1).

გრაფიკი 1 საქართველოს ელ.ენერჯის მოხმარება 1990-2003 (მლნ კვტ.სთ)



1 საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

2 ესკოს მონაცემების არქივი


→ საქართველოს ენერჯეტიკისა და ენერჯოდამოკიდებულების მიმოხილვა

საქართველოში არსებული მდგომარეობის გამო, 1990 წლიდან მთელი ათწლეულის განმავლობაში ექსპლუატაციაში სულ 6 მცირე ზომის ჰესი, საერთო დადგმული სიმძლავრით 13.3 მგვტ და 1 თბოელექტროსადგური 300 მგვტ სიმძლავრის მტკვარი თესი გაეშვა. ამ დროს იმ ენერჯომეურნეობის ფუნქციონირება, რაც ქვეყნას გააჩნდა, კითხვის ნიშნის ქვეშ იდგა.

1991 წლიდან მოყოლებული, ანალოგიურად შემცირდა ქვეყანაში ელექტროენერჯის ექსპორტისა და იმპორტის ბალანსის რაოდენობაც და 1990 წლის 3.3 მლრდ კვტ.სთ-ის მაჩვენებლიდან 2003 წლამდე 0.8 მლრდ კვტ. სთ-მდე დაეცა. თუმცა რაოდენობის კლება სტაბილური არ ყოფილა წლების განმავლობაში, 1996 წელს 0.083 მლრდ კვტ-ზეც ჩამოვიდა, ხოლო 2001 წელს 1.3 მლრდ. კვტ.სთ შეადგინა (გრაფიკი 2).

გრაფიკი 2 ექსპორტისა და იმპორტის ბალანსი (ესპოს მონაცემები)

1990-2003 წწ (მლნ. კვტ.სთ)



2003 წლიდან 2007 წლამდე, საქართველო სტაბილურად 7-8 მლრდ კვტ.სთ ელექტროენერჯის მოიხმარდა. ამ პერიოდში ექსპლუატაციაში სულ 6 ჰესი საერთო, დადგმული სიმძლავრით 33.35 მგვტ შევიდა, მათგან 5 მცირე, ხოლო ერთი – ხადორჰესი, 24 მგვტ დადგმული სიმძლავრით საშუალო ჰესი იყო. 2006 წელს ასევე ექსპლუატაციაში შევიდა 110 მგვტ სიმძლავრის ჯი-ფაუერის აირტურბინული თბოელექტროსადგური.

აღნიშნულ პერიოდში საქართველოს საკმაოდ მცირე მოხმარება ჰქონდა, რის გამოც ჰიდროენერჯეტიკის განვითარებას დიდი ყურადღება არ ექცეოდა. 2006 წელს, თბილისი-ბაქო-ჯეიჰანის მილსადენის ექსპლუატაციაში გაშვების შემდეგ, თბოელექტროსადგურის აშენება ლოგიკური გადაწყვეტილება იყო, რადგან თბოელექტროსადგური მილსადენიდან სუბსიდირებულ ფასად შეიძენდა ბუნებრივ აირს და ელ.ენერჯის დაბალი ხარჯებით აწარმოებდა.


2007-2011 წლების საქართველოს ელ-ენერჯიის ბალანსი

ბოლო 15 წელი საქართველოს ენერჯეტიკის აღდგენაში, გაძლიერებასა და განვითარებაში ყველაზე მნიშვნელოვანი პერიოდი იყო.

2007 წლიდან 2011 წლამდე საქართველოს მოხმარება საკმაოდ სტაბილური იყო და 8-9 მლრდ კვტ.სთ-ს შორის მერყეობდა (გრაფიკი 3).

გრაფიკი 3 საქართველოს ელ.ენერჯიის მოხმარება წლების მიხედვით (ესპოს მონაცემები)

2007-2011 წწ საქართველოს ელ.ენერჯიის მოხმარება (მლნ.კვტ.სთ)



სტაბილური მოხმარების შენარჩუნების შედეგად, მნიშვნელოვანია, რომ ამ პერიოდში საქართველო უფრო მეტ ელექტროენერჯიას ყიდდა, ვიდრე ყიდულობდა. ქვეყანა აქტიურად ახორციელებდა ექსპორტს მეზობელ ქვეყნებში – რუსეთში, აზერბაიჯანში, თურქეთში და სომხეთში. ყველაზე დიდი რაოდენობით ელექტროენერჯია რუსეთში გადიოდა. 2007-2011 წელს ექსპორტზე გასული ელ.ენერჯია:

- 2007 წელს 0.6 მლრდ. კვტ.სთ
- 2008 წელს 0.4 მლრდ კვტ.სთ
- 2009 წელს 0.5 მლრდ. კვტ. სთ
- 2010 წელს 1.1 მლრდ კვტ.სთ
- 2011 წელს 0.6 მლრდ კვტ.სთ³


1.3 2012-2022 წლების საქართველოს ელ.ენერჯის ბალანსი

2012-2022 წლები საქართველოს ენერჯეტიკის აღდგენასა და განვითარებაში ყველაზე მნიშვნელოვანი პერიოდი იყო. 2012 წლიდან მოყოლებული ენერჯეტიკამ აქტიური წინსვლა დაიწყო. საქართველოს მოხმარება 10 წლის განმავლობაში ყოველწლიურად მნიშვნელოვნად იზრდებოდა და 2022 წლისათვის 15 მილიარდს მიაღწია⁴ (გრაფიკი 4).

საქართველოში ბოლო ათწლეულის განმავლობაში ყველაზე მეტი, 54 ახალი სადგური აშენდა. მთლიანობაში, 2012 წლიდან 2022 წლამდე აშენებული ახალი სადგურების დადგმულმა სიმძლავრემ 1197.474 მგვტ შეადგინა. ეს ნიშნავს, რომ ჩვენი ქვეყნის მთლიანი დადგმული სიმძლავრის 26%, ანუ მეოთხედზე მეტი სწორედ ბოლო ათწლეულში აშენდა. 2012-2022 წლებში აშენებული სადგურების 61% ჰესები, ხოლო 39% თბოსადგურები იყო.

გრაფიკი 4 ელ.ენერჯის მოხმარება წლების მიხედვით მლნ.კვტ.სთ

საქართველოს ელ.ენერჯის მოხმარება 2012-2022 წლების განმავლობაში (მლნ. კვტ.სთ)




მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ამ პერიოდში ყველაზე მეტი ახალი სადგური აშენდა 2010 წლიდან ელ.ენერჯის იმპორტის რაოდენობა მაინც, სულ იზრდებოდა. ამ დროიდან მოყოლებული დღემდე გენერაციის წილი მთლიან მოხმარებაში მნიშვნელოვნად არის შემცირებული. ქვეყნის შიგნით გამომუშავებული ელ.ენერჯის წილი 89%-დან 69%-მდე შემცირდა, რაც გვიჩვენებს, რომ ქვეყნის ენერჯოდამოკიდებულების და ენერჯოსაფრთხოების მაჩვენებელი წლიდან წლამდე საგრძნობლად კლებულობს. ამ პერიოდში ყველაზე მეტი ელ.ენერჯია რუსეთიდან გვაქვს შეძენილი. ბოლო ათწლეულში რუსეთიდან შეძენილმა ელექტროენერჯამ, მთელი იმპორტის 52% შეადგინა, თუმცა წლების განმავლობაში რუსეთიდან იმპორტის წილი 15%-დან 95%-მდე მერყეობდა.

4 ელექტროენერჯის გამომუშავებისა (საღებზე გაშვების) და გაყიდვის დინამიკა - esco.ge

გრაფიკი 5. ელ. ენერჯის იმპორტი (2012-2022) წყარო: Galt & Taggart

2012-2022 წწ იმპორტი (მლნ. კვტ.სთ)



საქართველოს რუსეთიდან იმპორტის ზრდა ჩვენი ელ.ენერჯიაზე მზარდი მოთხოვნითაა გამოწვეული, ამავდროულად სხვა წყაროების მაგივრად რუსეთიდან იმპორტის მიზები შედარებით დაბალი ტარიფიყაა. დანარჩენ იმპორტს უმეტესწილად აზერბაიჯანიდან და თურქეთიდან, შემთხვევებში სომხეთიდან ვახორციელებდით. ამ ქვეყნებიდან იმპორტი საჭირო ელ.ენერჯიაზე ხელმისაწვდომობითა და შემოთავაზებული ტარიფით განისაზღვრება. საქართველოს ელ.ენერჯის ბალანსში მნიშვნელოვანია აზერბაიჯანიდან შექენილი ელ.ენერჯის წილიც: 2016 წელს აზერბაიჯანიდან – 109.8 გვტვ სთ ელ.ენერჯია შევიძინეთ. 2017 წ. – 917.6 გვტვ.სთ, 2018 წ. – 1294.8 გვტვ.სთ, 2019 წ. – 1102 გვტვ. სთ, 2020 – 726.3 გვტვ.სთ, 2021 – 463.1. გვტვ.სთ. **წლების განმავლობაში აზერბაიჯანიდან ელ.ენერჯის შექენისას გამორჩეულად მზარდი ტენდენცია არ შეიმჩნევა.**

საქართველოს აქვს შესაძლებლობა რუსული იმპორტის წყაროები, აზერბაიჯანულით ან თურქულით ჩაანაცვლოს, თუმცა ეს, ერთი მხრივ, ეკონომიკურ წნეხთანაა დაკავშირებული, რადგან ამ ქვეყნებში ელ.ენერჯის ტარიფი ხშირად მატულობს. მეორე მხრივ კი რუსეთი ცნობილია მასზე სხვა ქვეყნების ენერჯეტიკული დამოკიდებულების პოლიტიკური მიზნებისთვის გამოყენებით. მსგავსი შემთხვევები იყო საქართველოშიც და უკრაინასა და ბალტიისპირეთის ქვეყნებშიც. რუსეთი სხვადასხვა ხერხებით ყოველთვის ცდილობს ქვეყნებს არ მისცეს საშუალება მისგან ენერჯეტიკულად დამოკიდებულები გახდნენ. შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ მოკლევადიან პერსპექტივაში საქართველოში რუსეთიდან ელ.ენერჯის იმპორტი შეიძლება განსაკუთრებულ საფრთხედ არ მივიჩნიოთ, გრძელვადიან პერსპექტივაში ამ დამოკიდებულებამ პოლიტიკურად დიდი რისკის ქვეშ შეიძლება დაგყვავდეს.

საყურადღებოა 2022 წლის საქართველოდან ელ. ენერჯის ექსპორტის მონაცემები. Galt&Taggart-ის ცნობით, 2022 წელს ელექტროენერჯის ჯამური ექსპორტი წლიურად 153.7%-ით გაიზარდა და 1.0 ტვტ.სთ შეადგინა. ექსპორტიდან მიღებული შემოსავლები წლიურად 436.5%-ით (5.4-ჯერ) გაიზარდა და 84.3 მლნ აშშ დოლარს მიაღწია. ექსპორტის საშუალო ფასი 118.9%-ით გაიზარდა და კვტ.სთ-ზე 8.7 აშშ ცენტი გახდა. ელექტროენერჯის ექსპორტი მაისში დაიწყო და სექტემბრის ბოლომდე გაგრძელდა. სექტემბერში ელექტროენერჯის ექსპორტი ძალიან უჩვეულოა საქართველოსთვის, რადგან ბოლო რამდენიმე წელია აგვისტოც კი გამოაკლდა საექსპორტო თვეების სიას გაზრდილი ადგილობრივი მოხმარების გამო. ეკონომიკის სამინისტრომ 2022 წლის მოთხოვნა-მიწოდების ბალანსის დაგეგმვისას გაითვალისწინა ექსპორტიდან მაღალი შემოსავლის მიღების პოტენციალი და ენერჯის და თბოსადგურების მუშაობის გრაფიკი ისე დაგეგმა, რომ ექსპორტის განხორციელება შესაძლებელი ყოფილიყო მაისიდან სექტემბრის ჩათვლით. აღსანიშნავია, რომ საქართველოში მოქმედ თბოსადგურებზე მსოფლიოში გაზის ფასის ზრდას გავლენა არ მოუხდენია, რადგან ისინი იყენებენ ე.წ „სოციალურ გაზს“, რომელსაც საქართველო იღებს ბუნებრივი აირის სამხრეთ კავკასიის გაზსადენის მეშვეობით აზერბაიჯანიდან თურქეთში გატარების საფასურად. **სოციალური გაზი მხოლოდ შეზღუდული რაოდენობით მიეწოდება საქართველოს მხარეს და შესაბამისად, შეზღუდულია თბოსადგურების მიერ მათი მოხმარებაც. სწორედ ამ შეზღუდვის გამო ვერ გაიზარდა ექსპორტი უფრო მეტად.**


საქართველოს ბუნებრივი აირის მოხმარება და იმპორტდამოკიდებულება

რუსულ ენერგომატარებლებზე დამოკიდებულების ზრდა შეიმჩნევა ბუნებრივი აირის იმპორტის მიმართულებითაც. 2016 წლიდან მოყოლებული რუსეთიდან ბუნებრივი აირის იმპორტის წილი 5%-დან 2021 წელს 15%-მდე, ანუ 3-ჯერ გაიზარდა (გრაფიკი 6).

განსაკუთრებული ზრდა 2021 წელს შეინიშნება. 2020 წელს რუსული ბუნებრივი აირის წილი იმპორტში თანხობრივად 12.2 %-ს ს შეადგენდა. წელს ამ მაჩვენებელმა უკვე 23.1%-ს მიაღწია, რადგან 2021 წელს გაზის მთლიანი იმპორტის საფასური 333 მილიონი აშშ დოლარი იყო, მათ შორის აზერბაიჯანული გაზის – 256 მილიონი აშშ დოლარი, რუსული გაზის კი 77 მილიონი.

რუსული გაზის შესყიდვებს ქვეყანა ჩრდილოეთ-სამხრეთის მაგისტრალური გაზსადენიდან ახორციელებს. მილსადენი წლიურად 2.2-2.3 მილიარდ კუბურ მეტრ გაზს ატარებს და ის სომხეთის გამომარაგების მთავარი არხია. 2015 წლის ჩათვლით საქართველო ტრანზიტის საფასურს, გატარებული გაზის 10%-ს ნატურით იღებდა, თუმცა 2016 წლიდან ტრანზიტის საფასურს რუსული „გაზპრომ ექსპორტი“ საქართველოს ფულადი სახით უხდის, საფასური კი კომერციულ საიდუმლოს წარმოადგენს.

გრაფიკი 6. ბუნებრივი აირის იმპორტი 2016-2021



მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში საქართველოს ბუნებრივი აირის მოხმარება ეტაპობრივად იზრდებოდა, რუსეთიდან იმპორტირებული გაზის რაოდენობა, ბუნებრივი აირის მოხმარების ზრდას აჭარბებდა, საიდანაც შეგვიძლია დავასკვნათ, რომ რუსეთიდან იმპორტირებულმა გაზმა გარვეკულ შემთხვევებში აზერბაიჯანიდან იმპორტირებული აირის ნაწილი ჩაანაცვლა, თუმცა აღსანიშნავია, რომ ე.წ. „სოციალური გაზი“, ანუ აზერბაიჯანიდან შექენილი გაზის შექენა საქართველოს შეზღუდული რაოდენობით შეუძლია, რამაც ზოგიერთ შემთხვევაში შეიძლება იძულებული გაგვხადოს, გაზი რუსეთიდან შემოვიტანოთ.

საქართველოს ნავთობპროდუქტების მოხმარება და იმპორტდამოკიდებულება

რაც შეეხება ნავთობპროდუქტებს, მათი წარმოება საქართველოში ძალიან მცირე რაოდენობით ხდება და ქვეყანა ფაქტობრივად მთლიანადაა დამოკიდებული იმპორტზე. **ბოლო წლების განმავლობაში საქართველო სტაბილურად 1.4-1.5 მლნ ტონა სხვადასხვა ტიპის ნავთობპროდუქტებს ყიდულობს (საქსტატი)**, საიდანაც ერთ მესამედს საავტომობილო ბენზინი, მეორე მესამედს სატრანსპორტო დიზელი, ხოლო დანარჩენს ნედლი ნავთობი, რეაქტიული ძრავების ნავთი და სხვა ნავთობპროდუქტები შეადგენს.

ნავთობის საიმპორტო ქვეყნები საქართველოში საკმაოდ დივერსიფიცირებულია რადგან პროდუქტი სხვადასხვა ქვეყნიდან შემოდის. მათი სტატისტიკა 2021 შემდეგნაირად განაწილდა (ტოპ 5): 1) თურქმენეთი – \$32 მილიონი, 60,400 ტონა; 2) რუსეთი – \$28 მილიონი, 59,400 ტონა; 3) რუმინეთი – \$27.4 მილიონი, 51,200 ტონა; 4) აზერბაიჯანი – \$20.1 მილიონი, 43,000 ტონა; 5) ბულგარეთი – \$14.4 მილიონი, 26,900 ტონა.

ნავთობპროდუქტების იმპორტი საქართველოში საკმაოდ დივერსიფიცირებულია. 2019-2021 წლების განმავლობაში საქართველომ დიზელის იმპორტი დაახლოებით 40 ქვეყნიდან განახორციელა. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთი აზერბაიჯანთან, თურქმენეთთან და რუმინეთთან, ტოპ ოთხეულში შედის, ამ პარტნიორებს შორის რუსეთი საშუალო წილს ინარჩუნებს (9%-27%-ის ფარგლებში). აღნიშნული ტენდენცია მზარდია და ასე გაგრძელების შემთხვევაში, შესაძლოა საქართველო წლების განმავლობაში მეტად გახდეს ნავთობპროდუქტების მხრივ რუსეთზე დამოკიდებული, რაც ჩვენი ენერჯეტიკული უსაფრთხოებისთვის საყურადღებო ფაქტორია.

იმპორტდამოკიდებულების საფრთხეები მზარდი მოთხოვნის პირობებში

როგორც წლების განმავლობაში ელ.ენერჯის, ბუნებრივი აირის და ნავთობპროდუქტების იმპორტის ანალიზიდან ჩანს, საქართველო ყველა მიმართულებით მნიშვნელოვნადაა რუსულ ენერჯომატარებლებზე დამოკიდებული, რაც ქვეყანას მსოფლიოში შექმნილი გეოპოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე სარისკო მდგომარეობაში აყენებს, რადგან რუსეთს სხვა ქვეყნის მის ენერჯომატარებლებზე დამოკიდებულება არაერთხელ გამოუყენებია, როგორც პოლიტიკური ზეგავლენის ბერკეტი.

ყველაზე მნიშვნელოვნად ქვეყანა რუსეთზე ელ.ენერჯის იმპორტის მხრივაა დამოკიდებული, რადგან მოთხოვნა ელ.ენერჯიაზე წლიდან წლამდე საგრძნობლად იზრდება. არსებული ტენდენციების ანალიზით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საქართველოს მზარდი მოთხოვნის დაკმაყოფილებისთვის ახალი სადგურების გამომუშავება საკმარისი არ იყო, რის გამოც უმეტესწილად ეს მოთხოვნა სხვადასხვა მეზობელი ქვეყნიდან იმპორტით იფარებოდა. წლების მიხედვით უპირატესობა ენიჭებოდა იმ ქვეყანას, რომელიც ჩვენთვის საჭირო ელ.ენერჯიას შედარებით დაბალ ფასად გვთავაზობდა, უმეტეს შემთხვევებში კი დაბალ ტარიფს სწორედ რუსეთი გვთავაზობდა.

→ საქართველოს ენერჯეტიკისა და ენერგოდამოკიდებულების მიმოხილვა

მნიშვნელოვანი იყო 2022 წლის სტატისტიკა. Galt&Taggart-ის 2022 წლის ანგარიშის მიხედვით, გასულ წელს გაზრდილი მოთხოვნა ძირითადად ჰიდრო და თბოგენერაციის ზრდით დაკმაყოფილდა. თბოსადგურების გამომუშავება წლიურად 42.4%-ით გაიზარდა, ხოლო ელექტროენერგიის იმპორტი 23.6%-ით შემცირდა. ეს გადასვლა ელექტროენერგიის იმპორტიდან თბოგენერაციაზე ძირითადად ფასთაშორის სხვაობით აიხსნება. ელექტროენერგიის იმპორტის საშუალო ფასი კვტ.სთ-ზე 7.0-7.8 აშშ ცენტის ფარგლებში იყო, ხოლო თბოგენერაციის ფასი კვტ.სთ-ზე 3.3-4.5 აშშ ცენტამდე მერყეობდა. საქართველომ მოახერხა თბოგენერაციაზე დაბალი ფასის შენარჩუნება ე.წ. „სოციალური გაზის“ მეშვეობით.

მიუხედავად იმისა, რომ თბოელექტროსადგურები დიდი დატვირთვით მუშაობდნენ 2022 წელს, იმპორტის 82.5% რუსეთიდან განხორციელდა. აფხაზეთის რეგიონმა საქართველოში შემოტანილი ელექტროენერგიის ნახევარი მოიხმარა. ამ ელექტროენერგიას რუსეთი გვანჯღის „სპეციალურ“ ფასად (რომელიც კვტ.სთ-ზე 0.5 აშშ ცენტზე ნაკლებია). ეს სპეციალური ფასი მნიშვნელოვნად ამცირებს იმპორტის საშუალო შენონილ ფასს – 2022 წლის იმპორტის საშუალო ფასი კვტ.სთ-ზე 3.2 აშშ ცენტს შეადგენდა.

- აზერბაიჯანიდან ელექტროენერგიის იმპორტის ფასი წლიურად 55.5%-ით გაიზარდა და საშუალოდ კვტ.სთ-ზე 7.5 აშშ ცენტი შეადგინა.
- სომხეთიდან იმპორტირებული ელექტროენერგიის საშუალო ფასმა კვტ.სთ-ზე 7.4 აშშ ცენტი შეადგინა.
- რუსეთიდან ელექტროენერგიის იმპორტის ფასი კვტ.სთ-ზე შეადგენდა 7.0 აშშ ცენტს ოქტომბერში (2021 წლის ოქტომბერთან შედარებით 42.3%-ით მეტი). მნიშვნელოვანია, რომ ოქტომბერში აფხაზეთის რეგიონისთვის ელექტროენერგიის იმპორტი არ განხორციელებულა, ამიტომ ეს არის რუსეთიდან ელექტროენერგიის იმპორტის წმინდა კომერციული ფასი.

2021 წელს გარკვეულ მომენტებში იმპორტის ფასი 7.2 აშშ ცენტის კი იყო, ხოლო 2022-ში 8.7 აშშ ცენტი. ელექტროენერგიის იმპორტის კომერციული ფასი ბევრად მაღალია.

2022 წლის შემთხვევა გამონაკლისი იყო, რადგან თბოელექტროსადგურების დატვირთვა მაქსიმუმამდე გაიზარდა, თუმცა ამ ფაქტმა ბუნებრივი აირის იმპორტის ზრდაც გამოიწვია, რადგან ეს სადგურები იმპორტირებულ აირზე მუშაობენ. შესაბამისად გაიზარდა რუსეთიდან იმპორტირებული ბუნებრივი აირის რაოდენობაც. აქედან გამომდინარე, **შეგვიძლია დავასკვნათ, რომ თბოელექტროსადგურების ხარჯზე ელ.ენერგიის იმპორტის რაოდენობის შემცირება ჩვენს ენერგოდამოკიდებულებას მეზობელ ქვეყნებზე და განსაკუთრებით რუსეთზე დიდწილად არ ამცირებს და ქვეყანა მაინც რჩება გარკვეული ენერჯეტიკული უსაფრთხოების რისკების ქვეშ.**

მნიშვნელოვანი ფაქტორები, რამაც ტენდენციების ჩამოყალიბებამე იმოქმედა

საქართველოში ენერჯეტიკული პროექტების განვითარების ხელშეწყობისთვის დანერგილი იყო ელექტროენერჯის გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულება (Power Purchase Agreement „PPA“). როგორც ინვესტიციის მხარდაჭერის მექანიზმი, PPA ევროპაში ცნობილია ასევე Feed-in-Tariff (FIT)-ის სახელით. PPA/FIT მხარდაჭერის მექანიზმები, პროექტით ფინანსირების (project financing) მიზნებისთვისაა, რომელიც უზრუნველყოფს საფინანსო ინსტიტუტების/ინვესტორებისთვის – დაფინანსებისთვის შესაბამისობას (IRENA, 2018). PPA ხელშეკრულებით საქართველოში 41 პროექტის განვითარება გახდა შესაძლებელი.

2016 წლიდან საქართველოს ფინანსთა სამინისტრო საერთაშორისო სავალუტო ფონდის (IMF) ფისკალური გამჭვირვალობის სტანდარტებს იყენებს. ენერჯეტიკის სექტორს ეს შეეხო ელექტროენერჯის გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულებების ნაწილში, რაც ითვალისწინებს აღნიშნული ხელშეკრულებების ფარგლებში შესაძლო ფისკალური რისკების და ფისკალური ხარჯების შესახებ ინფორმაციის გასაჯაროებას.

2017 წელს IMF-ის რეკომენდაციის შედეგად, საქართველოს მთავრობამ ახალი PPA-ების გაცემაზე მორატორიუმი გამოაცხადა. უფრო კონკრეტულად კი, გამონაკლისი დაუშვა მხოლოდ ორ პროექტზე – კორომხეთი ჰესსა და ნამახვანის ჰესების კასკადზე, რადგან PPA ფისკალურ რისკად იქნა მიჩნეული. ევროპაში PPA/FIT ფასი ქვეყნების მიხედვით მერყეობს 8.8 აშშ ცენტი/კვტ.სთ-დან 14.7 აშშ ცენტი/კვტ.სთ-მდე (ტექნოლოგიების მიხედვით) (USAID/Deloitte, 2019). საქართველოს საშუალო PPA ტარიფი კი ამ დროს მხოლოდ 6 აშშ ცენტი იყო.

მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში 2017 წლამდე არსებობდა PPA-ს მექანიზმი, საყურადღებოა, რომ **2010 წლიდან ელექტროენერჯის გამომუშავება ადგილობრივი გენერაციის ობიექტებიდან მნიშვნელოვნად არის შემცირებული, ელ.ენერჯის გამომუშავება 89%-დან შემცირდა 69%-მდე, რაც გვიჩვენებს, რომ ქვეყნის ენერჯოდამოკიდებლობის და ენერჯოსაფრთხილების მაჩვენებელი საგრძნობლად კლებულობს.** ამასთან, 2010 წლიდან ექსპლუატაციაში შევიდა მხოლოდ 700 მგვტ ჰიდრო და ქარის ელექტროსადგური, ხოლო მოხმარების ზრდის საპასუხოდ აუცილებელი იყო დაახლოებით 1500 მგვტ. ელექტროენერჯის მოხმარების ზრდის ტემპი ორჯერ აღემატებოდა წარმოების ზრდის ტემპს. ამ რეალობის გათვალისწინებით, ის ნეგატიური შედეგები, რაც PPA-ზე გამოცხადებული მორატორიუმის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდა, მძიმე ტვირთად დააწვა ენერჯეტიკულ სექტორს და 2017 წლიდან საგრძნობლად შემცირდა ახალი სადგურების მშენებლობა. ახალი პროექტების განვითარების ტემპის შენელება PPA-ს გაუქმებასთან ერთად, ენერჯეტიკის სამინისტროს გაუქმებამაც შეუწყო ხელი, რამაც ქვეყნის ენერჯოპოლიტიკა განსაზღვრა. საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, ენერჯეტიკის სამინისტრო საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს შეუერთდა. საბოლოო ჯამში კი, თუ 2013-2017 წლებში, როცა სამინისტრო აქტიურად მუშაობდა ქვეყანაში რეკორდულად დიდი, საერთო დადგმული სიმძლავრით 544.75 მგვტ. სადგურები შევიდა ექსპლუატაციაში, ენერჯეტიკის სამინისტროსა და PPA-ს გაუქმების შემდეგ 2018 წლიდან 2022 წლამდე საქართველოში სულ 194.97 მგვტ დადგმული სიმძლავრის სადგური აშენდა.

PPA-ს სანაცვლოდ სახელმწიფომ ენერჯეტიკაში ინვესტორთა წახალისების მიზნით, ახალი ფინანსური ინსტრუმენტი, ე.წ. FEED IN PREMIUM-ი შემოიღო, რომელიც მთავრობის განმარტებით გულისხმობდა, რომ თუ ჰესის მიერ გამომუშავებული ელ.ენერჯია გაიყიდებოდა X ფასად, 1.5 ცენტს მხარდაჭერის სახით სახელმწიფო დაამატებდა. მთავრობა საშუალო ელ.ენერჯის ტარიფად 4 აშშ

→ საქართველოს ენერჯეტიკისა და ენერჯოდამოკიდებულების მიმოხილვა

ცენტს ასახელებდა და შესაბამისად, ინვესტორს ელ.ენერჯის 5.5 აშშ ცენტად გაყიდვის გარანტიას სთავაზობდა.

მიუხედავად იმისა, რომ მთავრობის N403 დადგენილებით, 20-მდე განახლებადი ენერჯის პროექტის ხელშეკრულება იყო გაფორმებული, აღნიშნულმა მოდელმა ვერ იმუშავა და ამ მოდელით დაფინანსება ვერცერთმა სადგურმა ვერ მოიპოვა.

FIP-ის წარუმატებლობა იმან გამოიწვია, რომ განსაზღვრული არ იყო ტარიფის ქვედა ზღვარი, რაც ნიშნავდა, რომ გარკვეულ მომენტებში, თუ ელ.ენერჯია 0 აშშ ცენტამდე დაეცემოდა, სახელმწიფოს ხელშეწყობით კომპანია მთლიანობაში მხოლოდ 1.5 აშშ ცენტ ანაზღაურებას მიიღებდა. აქვე, არანაკლებ მნიშვნელოვანია, ის ფაქტიც, რომ ხელშეწყობის მიღების ზედა ზღვარი 5.5 აშშ ცენტია, ანუ თუ ტარიფმა ამ ზღვარს გადააბიჯა, კომპანია დახმარების მიღებას ვეღარ შეძლებდა, რაც მექანიზმს საკმაოდ არაეფექტურს ხდიდა, რადგან დადგენილებით განსაზღვრულ პერიოდში, ზამთრის თვეებში, მაღალი მოთხოვნისა და დაბალი მიწოდების გამო ტარიფი ხშირად ცდება 5.5 აშშ ცენტს.

ახალი ხელშეწყობის მექანიზმი – ფასთა სხვაობის ხელშეკრულება

2022 წლამდე, ეფექტური ხელშეწყობის მექანიზმის არქონის გამო დაფინანსების მოპოვების პროცესის გართულებამ არაერთი პროექტის მშენებლობა გააჭიანურა. თუმცა 2022 წელს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ ენერჯეტიკის სექტორს, ახალი 1556 დადგენილებით, ახალი ფასთა სხვაობის ხელშეკრულება შესთავაზა.

განახლებადი ენერჯის მხარდაჭერის ახალი სქემა ეფუძნება კონკურენციისა და საბაზრო პრინციპებს, რაც ხელს შეუწყობს საქართველოში ენერჯეტიკის სექტორის განვითარებას.

ამ დადგენილების მოქმედება გავრცელდება მხოლოდ ელექტროსადგურის მშენებლობის განხორციელებადობის ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის შესწავლის ეტაპზე არსებულ პროექტებზე.

ფასთა სხვაობის ხელშეკრულების შინაარსი შემდეგში მდგომარეობს – ესკოს მიერ ფასთა სხვაობა გადაიხდება როგორც ელექტროენერჯის დღით ადრე ან დღიურ ბაზარზე შესაბამისი საათისთვის დაფიქსირებულ საბითუმო (წონასწორულ) ფასზე დამატებით, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სადგურის მიერ მხარდაჭერის პერიოდის განმავლობაში, ელექტროენერჯის დღით ადრე ან დღიურ ბაზარზე ყოველ საათში 1 კვტ. სთ ელექტროენერჯისათვის დაფიქსირებული საბითუმო (წონასწორული) ფასი ნაკლებია ფასთა სხვაობის ხელშეკრულებით განსაზღვრულ ტარიფზე და პირიქით.

ანგარიშსწორება განხორციელდება ყოველ საათში სადგურის მიერ სალტებზე გაცემულ ელექტროენერჯის მოცულობაზე.

მხარდაჭერის სქემა მოიცავს მხარდაჭერის პერიოდს სადგურის ექსპლუატაციაში შესვლიდან 15 წლის განმავლობაში, განახლებადი ენერჯების სხვადასხვა წყაროსთვის შემდეგ თვეებზე:

- ჰიდროელექტროსადგურისთვის – 8 თვე (სექტემბერი-აპრილი)
- ქარისელექტროსადგურისთვის – 9 თვე (აგვისტო-აპრილი)
- მზის ელექტროსადგურისთვის – 12 თვე

→ საქართველოს ენერჯეტიკისა და ენერჯოდამოკიდებულების მიმოხილვა

- სხვა განახლებად ენერჯიაზე მომუშავე ელექტროსადგურისთვის – 12 თვე.

მხარდაჭერის ახალი სქემის ფარგლებში, სიმძლავრის აუქციონი გამოცხადდება არაუმეტეს 1,500 მეგავატზე შემდეგ კატეგორიებად:

- ჰიდროელექტროსადგურები – 950 მეგავატი
 - რეგულირებადი/რეზერვუარიანი ჰესები – 300 მეგავატი
 - მოდინებაზე არსებული ჰესები – 650 მეგავატი
- ქარის ელექტროსადგურები – 250 მეგავატი
- მზის ელექტროსადგურები – 250 მეგავატი
- სხვა განახლებადი წყაროები (წყალბადი, ბიოგაზი, ბიომასა, გეოთერმული და ა.შ.) – 50 მეგავატი

ზემოაღნიშნული სიმძლავრეები აუქციონზე გამოვა სამ ეტაპად:

- I ფაზა – 300 მეგავატი (2022-2023წწ.)
- II ფაზა – 400 მეგავატი (2023-2024 წწ.)
- III ფაზა – 800 მეგავატი (2024-2025წწ.)

აუქციონის პირველმა ფაზა უკვე ჩატარდა და შედეგად 24-მა პროექტმა მოიპოვა მხარდაჭერა, საიდანაც 14 ჰიდროელექტროსადგური; 2 ქარის ელექტროსადგური, და 10 მზის ელექტროსადგური იქნება.

სხვა განახლებადი ენერჯის წყაროების პროექტებისთვის, რომლისთვისაც განსაზღვრული იყო 10 მგვტ გამარჯვებული ვერ გამოვლინდა. შესაბამისად, აღნიშნული სიმძლავრე გადანაწილდა ჰიდრო, მზის და ქარის ელექტროსადგურების პროექტებზე, რადგან კერძო სექტორის მხრიდან ფასთა სხვაობის ხელშეკრულებაზე მოთხოვნა ძალიან მაღალი იყო. გამოცხადებულ 300 მგვტ-ზე ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ 950 მგვტ. დადგმული სიმძლავრის ოდენობის განაცხადები მიიღო. ძალიან მაღალი მოთხოვნიდან გამომდინარე, სამინისტრომ გადაწყვიტა აუქციონის მეორე ეტაპი წელსვე გაზრდილი რაოდენობით 400 მგვტ.-თვის ჩაატაროს.

აუქციონის პირველი ეტაპით განსაზღვრული 300 მეგავატი გადანაწილდა შემდეგნაირად:

- ჰიდროელექტროსადგურები (მოდინებაზე) – 153 მგვტ;
- ქარის ელექტროსადგურები – 77 მგვტ;
- მზის ელექტროსადგურები – 70 მგვტ.

სახელმწიფო კომპანიებს, რომელმაც აუქციონში ამ სიმძლავრეებისთვის გაიმარჯვეს, განახლებადი ენერჯის ტიპის მიხედვით, CFD მექანიზმით შემდეგ მედიანურ ტარიფს შესთავაზებს: 6.85 აშშ ცენტი ჰესები; 6.825 აშშ ცენტი ქარი; 6.367 აშშ ცენტი მზე. განახლებადი ენერჯის სადგურები ადდგენილი ტარიფით მიიღებენ ანაზღაურებას.


ელ ენერჯის მომხარების მრდის პროგნოზები

საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის საქართველოს გადამცემი ქსელის ათლწლიანი განვითარების გეგმის პროგნოზით, ქვეყნის მთლიანი მოხმარება 2025 წელს 16 მლრდ. კვტ. სთ. ხოლო ათ წელიწადში, 2033 წლისთვის 20 მლრდ. კვტ. სთ.-ს გადააჭარბებს.

2022 წელს საქართველოს მოხმარებამ 15 მლრდ. კვტ. სთ-ს მიაღწია, რაც ნიშნავს რომ მომავალ წლებში მინიმუმ 5 მლრდ კვტ.სთ-ით, ანუ ამჟამინდელი მოხმარების დაახლოებით 33%-იანი ზრდა გველოდება, დღესდღეობით კი საქართველოს წელიწადში 10 თვის განმავლობაში საკმარის ენერჯიას ვერ გამოიმუშავებს.

2014-2022 წლებში მოხმარება წლიურად 5.6%-ით იზრდებოდა (CAGR), 2023-2033 წლების პროგნოზით მოხმარება 4.8%-ით უნდა გაზრდილიყო, თუმცა არსებული რეალობიდან გამომდინარე CAGR-მა შესაძლოა ამ მაჩვენებელს გადააჭარბოს (გრაფიკი 7).

გრაფიკი 7 ელ. ენერჯის მოხმარების პროგნოზი (CAGR) (Galt&Taggart)



მთლიანი საქართველოს მოთხოვნის ზრდასთან ერთად საყურადღებოა აფხაზეთის მოხმარების ზრდაც, რომელმაც ყოველწლიური ტენდენციის ხასიათი მიიღო. აფხაზეთში ეკონომიკური მდგომარეობა დანარჩენ საქართველოზე მძიმეა, უკონტროლო მოხმარების უმთავრესი მიზეზი ე.წ. უფასო დენია. ის ფაქტი, რომ აფხაზეთში ელ.ენერჯიაზე გადასახადი არ არის, მის უკონტროლო რაოდენობით მოხმარებას უწყობს ხელს. ხშირ შემთხვევაში აფხაზეთის მზარდი მოხმარება ე.წ. „მაინინგს“ უკავშირებენ, თუმცა 10 წლის წინაც, როდესაც ბიტკოინის შესახებ თითქმის არავის სმენოდა, აფხაზეთი დანარჩენ საქართველოსთან შედარებით 1 სულზე დაანგარიშებით 125%-ით მეტ ელექტროენერჯიას მოიხმარდა.

აფხაზეთში 1 კვტ-ის ოფიციალური ღირებულება 40 კაპიკია ანუ დაახლოებით 1.7 თეთრი. პოლიციელები და ომის ვეტერანები ასეთი მიზეზული ტარიფისგანაც გათავისუფლებულები არიან, ისინი კი, ვისაც შეღავათი არ ეხებათ, ალურიცხავობის გამო ელექტროენერჯიის საფასურს მაინც არ იხდიან.

აფხაზეთის მომარაგება ენგურჰესზე წარმოებული ელ.ენერჯიით უნდა იფარებოდეს, თუმცა იქიდან გამომდინარე, რომ აფხაზეთი თითქმის იმდენ ელ.ენერჯიას მოიხმარს, რამდენსაც თბილისი, მხოლოდ ენგურჰესზე გამომუშავებული ელ.ენერჯიის წილი აფხაზეთის უზრუნველყოფისთვის საკმარისი აღარ არის. მიუხედავად იმისა, რომ თბილისში ოფიციალურად 1.2 მლნ ადამიანი

→ საქართველოს ენერგეტიკისა და ენერგოდამოკიდებულების მიმოხილვა

ცხოვრობს, რეალურად კი 1.5 მლნ-ზე მეტი, რაც აფხაზეთის მოსახლეობას მინიმუმ 6-ჯერ აღემატება. საბოლოო ჯამში ეს ფაქტი მთლიანი საქართველოს ენერგოსაფრთხოებას რისკის ქვეშ აყენებს, რადგან აფხაზეთისთვის დეფიციტური ელ.ენერჯის შექმნა რუსეთიდან გვიწევს.

„მსოფლიო გამოცდილება საქართველოსთვის“ ანალიზით, გარდა ენერგეტიკული და ფინანსური რესურსების გაღივებისა, მზარდი მოხმარება აუარესებს ენგური-ვარდნილის კასკადის ტექნიკურ მდგომარეობას და მთლიანი ენერგოსისტემის ექსპლუატაციის პირობებს, ზრდის რუსეთზე და აზერბაიჯანზე ენერგეტიკულ დამოკიდებულებას და ქმნის დამატებით ეკონომიკურ და პოლიტიკურ რისკებს, რაც ჯამში შეიძლება ენერგეტიკაში მიმდინარე მცოცავი ოკუპაციის ფორმად ჩაითვალოს.

ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორი – ესკო, ელექტროენერჯის გენერაციის, მოხმარების, იმპორტისა და ექსპორტის შესახებ მონაცემებს 2007 წლიდან აღრიცხავს. ამ წელს აფხაზეთმა სულ 1.255 მლრდ კვტ.სთ ელექტროენერჯია მოიხმარა, საქართველომ კი აფხაზეთიანად 7.815 მლრდ კვტ. სთ. 2020 წელს შესაბამისად 2.552 მლრდ კვტ. სთ და 12.157 მლრდ კვტ.სთ. 13 წელიწადში აფხაზეთში მოხმარება 103%-ით გაიზარდა, მთლიანად საქართველოში 55.6%-ით. აფხაზეთის გარეშე კი 46.4%-ით. 2021 წლის მონაცემების გაანალიზებით კონტრასტი კიდევ უფრო იზრდება და 3.101 მლრდ კვტ.სთ-ს აღწევს, 147%-ით მეტს, ვიდრე 2007 წელს, მთლიან საქართველოში 14 მლრდ კვტ/სთ-ს, რაც 14 წლის წინანდელთან შედარებით 80%-ით მეტია. ოკუპირებული ტერიტორიების გარეშე საქართველოში მოხმარება 10.968 მლრდ კვტ. სთ იყო, ანუ მხოლოდ 67%-ით მეტი.

ენგურჰესის გარდა, ადმინისტრაციულ საზღვარზე ვარდნილჰესების კასკადი მდებარეობს, რომელიც ოთხი ჰესისგან შედგება. მათგან დაახლოებით 30 წელია მხოლოდ ვარდნილჰესი 1 მუშაობს. იმ შემთხვევაში თუ ვარდნილი II, III და IV-ის რეაბილიტაცია მოხდებოდა სადგურის წლიური გამომუშავება 380 მლნ კვტ/სთ-ით გაიზრდებოდა. აფხაზურ მხარესთან მოლაპარაკებებისა და ამასთან თანხის გამოყოფის მიუხედავად, მესამე ათწლეულია, რაც მათი აღდგენისა და რეაბილიტაციის გეგმა ისევ ქალაქდზე რჩება.

ქვეყანაში გაზრდილი მოთხოვნის დაკმაყოფილება ორი გზითა შესაძლებელი. ერთი გზა არის უცხოური ინვესტიციების მოზიდვა და ახალი განახლებადი ენერჯის სადგურების მშენებლობა, მეორე გზა კი გაზრდილი რაოდენობით იმპორტის განხორციელებაა და მეზობელ ქვეყნების ეკონომიკაში ჩასხმა დამატებითი ფინანსების. იმპორტისთვის მნიშვნელოვან გარემოებას ელექტროგადამცემი ხაზების არსებობა და მათი გამტარუნარიანობის მაჩვენებელია.

საქართველო ელ.ენერჯია მეზობელი ქვეყნებიდან შემდეგი გადამცემი ხაზებით აწარმოებს:

- ე.გ.ბ. სალხინო – 220 კვ – რუსეთი (სსე)
- ე.გ.ბ. კავკასიონი – 500 კვ – რუსეთი (საქრუსენერგო)
- ე.გ.ბ. ჯავა – 110 კვ – რუსეთი (სსე)
- ე.გ.ბ. სტეფანწმინდა-მოზდოკი – 500 კვ – რუსეთი (საქრუსენერგო)
- ე.გ.ბ. დარიალი – 110 კვ – რუსეთი (სსე)
- ე.გ.ბ. მუხრანის ველი – 500 კვ – აზერბაიჯანი (საქრუსენერგო, სსე)
- ე.გ.ბ. გარდაბანი – 300 კვ – აზერბაიჯანი (გარდაბანი)
- ე.გ.ბ. ლალვარი 110 კვ – სომხეთი (სსე)
- ე.გ.ბ. მარნეული-აირუმი 500 კვ – სომხეთი (საქრუსენერგო)
- ე.გ.ბ. ალავერდი 220 კვ – სომხეთი (სსე)

→ საქართველოს ენერჯეტიკისა და ენერჯოდამოკიდებულების მიმოხილვა

- ე.გ.ბ. ნინოწმინდა 110 კვ – სომხეთი (სსე)
- ე.გ.ბ მესხეთი 400 კვ – თურქეთი (ენერგოტრანსი)
- ე.გ.ბ. აჭარა 220 კვ – თურქეთი (საქრუსენერგო)
- ე.გ.ბ. ბათუმი-მურათი 154 კვ – თურქეთი (ენერგოპრო)

გაზრდილი მოთხოვნის პირობებში არსებული გადამცემი ხაზებით გაზრდილი რაოდენობით იმპორტის განხორციელება შესაძლოა ტექნიკურ რისკებთან იყოს, რადგან სსე-ს ინფორმაციით მათი გამტარუნარიანობა შეზღუდულია ქვეყნის ენერგოსისტემის მუშაობის დასაშვები რეჟიმული პრამეტრებიდან გამომდინარე.

გრაფიკი 8 საქართველოს გადამცემი ქსელის სიმძლავრის მიმოცვლის შესაძლებლობები 2033 წლისთვის (სსე)



2025-2033 წლებისთვის სსე-ს ათწლიანი განვითარების გეგმის მიხედვით (გრაფიკი 8), გაძლიერდება საქართველოს ენერგოსისტემის კავშირის ხაზები მეზობელ ენერგოსისტემებთან; თურქეთთან მიმოცვლის შესაძლებლობა გაიზრდება 1050 მგვტ-მდე, რუსეთთან 1600 მგვტ-მდე, სომხეთთან 700 მგვტ- მდე. აზერბაიჯანთან 2023 წლიდან უკვე შესაძლებელი იქნება 2000 მგვტ-ის მიმოცვლის შესაძლებლობა.

გარდა იმისა, რომ გაზრდილი იმპორტი ამჟამად ტექნიკურ პრობლემასთანაა დაკავშირებული, ასევე საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ ასეთი რაოდენობით იმპორტის განხორციელება მნიშვნელოვნადაა დაკავშირებული ფინანსურ რისკებთან, რადგან წლების განმავლობაში იმპორტის ფასი ფაქტობრივად ყოველწლიურად იზრდება. გარდა ფინანსური რისკისა, ასევე საყურადღებოა ისიც, რომ მეზობელ ქვეყნებს რიგ მომენტებში, განსაკუთრებით კი ზამთრის თვეებში შესაძლოა ჩვენთვის მოსაყიდი ელ.ენერგია საერთოდ არ გააჩნდეთ.


→ საქართველოს ენერჯეტიკისა და ენერჯოდამოკიდებულების მიმოხილვა

საქართველოს განახლებადი ენერჯის კომპანიის მიერ მომზადდა ფინანსური მოდელი, რომელიც გვიჩვენებს თუ რა ფინანსური ზეწოლა ექნება ქვეყანას გაზრდილი მოთხოვნის იმპორტით დაკმაყოფილების შემთხვევაში.

2010-2020 წლებში ქვეყანამ ჯამში განახორციელა 1.1 მლრდ აშშ დოლარის ღირებულის იმპორტი, თუმცა მომავალი წლების პროგნოზთან შედარებით ეს შესაძლოა ძალიან მცირე რიცხვი იყოს. არსებული ტრენდის გაგრძელების შემთხვევაში 2030 წლისთვის ყოველწლიური სავაჭრო დეფიციტი 600 მილიონ აშშ დოლარს გადააჭარბებს ყოველწლიურად.

ამ შედეგის თავიდან ასაცილებლად, მომდევნო წლებში 3,000 მგვტ. სიმძლავრის ახალი სადგურების მშენებლობაა საჭირო. მაშინ, როცა ისტორიულად იმავე დროის მონაკვეთში, მხოლოდ 700-მდე მგვტ. აშენდა. ელექტროენერჯის იმპორტისა და ბუნებრივი აირის ფასის ზრდის შემთხვევაში, საგრძნობლად უარესი შედეგაც კი არის მოსალოდნელი.

გრაფიკი 9 გაზრდილი მოთხოვნის იმპორტით დაკმაყოფილების ფინანსური მოდელი




საქართველოს განახლებადი ენერჯის პოტენციალი

საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის საქართველოს გადამცემი ქსელის ათლწლიანი განვითარების გეგმის პროგნოზით, ქვეყნის მთლიანი მოხმარება 2033 წლისთვის 20 მლრდ. კვტ. სთ.-ს გადააჭარბებს. ერთდერთი გამოსავალი, რითიც შეგვიძლია, ჩვენი ქვეყნის ენერჯეტიკული უსაფრთხოების ხარისხი გავზარდოთ და განვამტკიცოთ ენერჯეტიკული დამოუკიდებლობა საკუთარი განახლებადი ენერჯის რესურსების ათვისება და ახალი სადგურების მშენებლობაა.

2021 წელს [ნორვეგიის წყლის რესურსებისა და ენერჯის დირექტორატის მიერ ჩატარებული კვლევის](#) თანახმად, საქართველოს ტექნიკურ-ეკონომიკურად სარგებლიანი **შიდრო პოტენციალი მოდინებაზე მომუშავე ჰესებისთვის – 56 მლრდ კვტ.სთ.-ია**. ამასთან ერთად, საქართველოს აქვს რესურსი **სამი დიდი წყალსაცავიანი ჰესის აშენების**. ესენია: ხულონჰესი (1.7 მლრდ კვტ. სთ) ნენსკრაჰესი (1.2 მლრდ კვტ.სთ) და ნამახვანჰესი (1.5 მლრდ კვ.სთ) **მათი ჯამური დადგმული სიმძლავრე დაახლოებით ერთი ენგურჰესის ტოლ ელ.ენერჯიას გამოიმუშავებდა**.

მხოლოდ მდინარის მოდინებაზე მომუშავე ჰესების პოტენციალის ათვისებით საქართველოს ელექტროენერჯის იმპორტში ყოველწლიურად უზარმაზარი რაოდენობის თანხის გადახდის სანაცვლოდ, ელექტროენერჯის ექსპორტზე გატანით ძალიან დიდი ფინანსური სარგებლის ნახვა შეუძლია.



- მდინარის მოდინების ჰესების პოტენციალი
- ამჟამად ათვისებული შიდროპოტენციალი
- 2030 წლის საპროგნოზო მოხმარება

არსებული ტარიფით საქართველოს ჯარბი ელექტროენერჯის (56-20=36 მლრდ კვტ/სთ) 8.7 ცენტად, ანუ დაახლოებით 23 თეთრად ექსპორტზე გატანა შეუძლია. ამ შემთხვევაში, საქართველო 8.3 მილიარდ ლარამდე სარგებელის მიღებას შეძლებს. შესაბამისად, ამ თანხიდან მინიმუმ 1,6 მილიარდი ლარი ბიუჯეტში ჩაირიცხება. თუმცა აქვე აღსანიშნავია, რომ ექსპორტის ფასი ფაქტობრივად ყოველ წელს მატულობს, საიდან გამომდინარეც შეგვიძლია ვიგულისხმოთ, რომ 2030 წლისთვის ეს მაჩვენებელი კიდევ უფრო მაღალი იქნება.

→ საქართველოს ენერჯეტიკისა და ენერჯოდამოკიდებულების მიმოხილვა

შიდრო პოტენციალის სრული ათვისების შემთხვევაში, 1,5 ცენტად ექსპორტირებული 36 მილიარდი კვტ/სთ ენერჯის გადაცემის სახით, ჩვენი ქვეყნის ელექტროსისტემას დამატებით 1,5 მილიარდი ლარი დაემატება.

2020-2021 წლისთვის (საბალანსო მექანიზმების ამუშავების შემდეგ) საქართველოს ენერჯოსისტემაში შესაძლებელი იყო 333 მგვტ ქარის და 130 მგვტ მზის სადგურების ინტეგრირება (პოტენციალის 25%). 2025 წლისთვის შესაძლებელი იქნება დაახლოებით 500 მგვტ ქარის და 250 მგვტ მზის სადგურების ინტეგრაცია. 2030 წელს საპროგნოზოდ 1332 მგვტ ქარის და 520 მგვტ მზის სადგურების ინტეგრირება პოტენციალის 100%-ის ინტეგრირება იქნება შესაძლებელი.

საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის მიერ შეფასებული ქარის ენერჯეტიკული პოტენციალი – 5 მლრდ კვტ. სთ, ხოლო მზის 0.695 მლრდ კვტ.სთ შეადგენს. ამჟამად ქვეყანას საკუთარი შიდრო პოტენციალის მხოლოდ 22%, ქარის კი – 1.7 % აქვს ათვისებული, ხოლო ელექტროსისტემაში ჩართული დიდი ზომის მზის სადგური ჯერ აშენებული არ არის.

ამ რესურსების ათვისებით საქართველოს არამხოლოდ იმპორტის საკუთარი გენერაციის წყაროებით ჩანაცვლება, არამედ ელ.ენერჯის ექსპორტზე გატანაც შეეძლება. რაც ჩვენს ეკონომიკურ მდგომარეობას მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს. 2020 წელს Gross Energy Group-მა ჩაატარა კვლევა: „ადგილობრივი განახლებადი ენერჯეტიკული რესურსის განვითარების ეკონომიკური გავლენის ანალიზი და მისი როლი ენერჯეტიკულ უსაფრთხოებაში“, სადაც სხვადასხვა ტიპის განახლებადი ენერჯის სადგურების მშენებლობის მთლიან შიდა პროდუქტზე (მშპ) გავლენა იქნა შეფასებული.

მათ მიერ მიღებული შედეგების მიხედვით:

1 მგვტ სიმძლავრის ჰესის მშენებლობით 10 წლიან პერიოდში მშპ-ზე გავლენა ჯამურად 2.16 მლნ აშშ დოლარის ღირებულებას ქმნის. მზის სადგურის შემთხვევაში ეს მაჩვენებელი 1.29 მლნ აშშ დოლარის ტოლია, ხოლო ქარის 1.53 მლნ აშშ დოლარის.

ელ.ენერჯის ექსპორტზე გატანის ფართო შესაძლებლობებს იძლევა „შავი ზღვის წყალქვეშა კაბელის“ პროექტი. პროექტის განხორციელების შემთხვევაში, 1 195 კილომეტრის სიგრძის კაბელი რუმინეთს დაუკავშირდება, რაც სამხ. კავკასიის ქვეყნებსა და რუმინეთს საშუალებას მისცემს ევროპაში გაფართოებული საექსპორტო შესაძლებლობებით ისარგებლონ.

ამ პროექტის მნიშვნელობა გადამწყვეტია, ქვეყნის როგორც პოლიტიკური სტაბილურობის, ასევე ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით, რადგან საქართველო როგორც ტრანზიტული დერეფანი კასპიის მხრიდან, ევროპისთვის აუცილებელი დერეფანი ხდება, რითიც შუამავალი ქვეყნის გარეშე, პირდაპირი ფიზიკური კავშირი მყარდება ევროპასთან.

აქამდე საქართველო ევროპას მხოლოდ გაზისა და ნავთობის საშუალებით უკავშირდებოდა, მაგრამ ესეც თურქეთის გავლით იყო. შავი ზღვის წყალქვეშა კაბელის პროექტი საშუალებას მოგვცემს საქართველოს ენერჯეტიკული უსაფრთხოება და ენერჯეტიკული დამოუკიდებლობა სულ სხვა სიმაღლეზე ავიდეს. მომავალი დეკადის ბოლოს განახლებადი, სუფთა ენერჯია საქართველოს ძირითადი საექსპორტო საქონელი უნდა გახდეს, რომელმაც მიღევადი წიაღისეული რესურსები, მადანი და ფეროშენადნობი მეტალები უნდა ჩაანაცვლოს.

დასკვნა

საქართველომ უნდა იზრუნოს მოსალოდნელი ენერჯეტიკული შიმშილის დაძლევაზე. ქვეყანაში მოხმარების ზრდა და ეკონომიკის განვითარება ხვალ მოითხოვს მეტ სიმძლავრეს, ვიდრე დღეს გვაქვს. მნიშვნელოვანია, გენერაციის ობიექტების მშენებლობა და განვითარება მოხმარების კვალდაკვალ იზრდებოდეს.

ბოლო წლების ტენდენციების ანალიზით ნათლად იკვეთება, რომ საქართველოში ელ.ენერჯისა და ბუნებრივ აირზე მოთხოვნის ზრდა ავტომატურად მეზობელ ქვეყნებზე ენერჯეტიკული დამოკიდებულების ზრდას ნიშნავს, რადგან საქართველოში საკმარისი რაოდენობით განახლებადი ენერჯის სადგურები არ შენდება.

ყველაზე საყურადღებო და ამავედროულად საგანგაშო კი ის ფაქტია, რომ ჩვენი იმპორტის წყაროები დივერსიფიცირებული არაა და გაზრდილ მოთხოვნას უმეტესწილად რუსეთიდან იმპორტის ზრდით ვაკომპენსირებთ.

რუსული ენერჯომატარებლების ფასი სხვა მეზობელ ქვეყნებთან შედარებით, ხშირ შემთხვევაში საგრძნობლად დაბალია, რაც დანარჩენი ქვეყნების ტარიფს ნაკლებად კონკურენტულს ხდის. იმის მიუხედავად, რომ რუსეთი ეკონომიკურად უფრო მომგებიან ფასს გვთავაზობს, იაფ ენერჯეტიკულ პროდუქტებს ენერჯეტიკული უსაფრთხოების მხრივ ძვირი ფასი აქვთ. საქართველო ყოველ წელს, როგორც ელ.ენერჯის, ისე ბუნებრივი აირისა და ნავთობპროდუქტების იმპორტის მხრივ მეტად დამოკიდებული ხდება რუსეთზე, რაც მათ ჩვენს, მთლიან ენერჯეტიკულ სისტემაზე კონტროლისა და ზემოქმედების ბერკეტს აძლევს.

ამჟამად, ერთადერთი მიმართულება, რა მხრივაც საქართველოს რუსეთზე დამოკიდებულების შეწყვეტა შეუძლია ელ.ენერჯის წარმოებაა. განახლებადი ენერჯის პოტენციალის ათვისებით საქართველოს მიეცემა საშუალება დააკმაყოფილოს ელ.ენერჯის იმპორტი და ასევე შეამციროს თბოელექტროსადგურების მუშაობა ისე, რომ რუსეთიდან დამატებითი ბუნებრივი აირის იმპორტიც არ გახდეს საჭირო.

რუსეთის გარდა დანარჩენი მეზობელი ქვეყნებიდან მნიშვნელოვანია აზერბაიჯანულ წყაროებზე დამოკიდებულებაც, ბუნებრივი აირისა და ელ.ენერჯის იმპორტის მხრივ, თუმცა ბუნებრივ აირის იმპორტში საერთაშორისო პროექტი მაინც მეტი ენერჯეტიკული უსაფრთხოებისა და ეკონომიკური ხელმისაწვდომობის გარანტიას იძლევა. შედარებით მნიშვნელოვანია ელ.ენერჯის მხრივ აზერბაიჯანზე დამოკიდებულება, რადგან მათ მიერ შემოთავაზებული ტარიფი ყოველ წელს იმატებს. გაზრდილი მოთხოვნის ფონზე გაზრდილი ტარიფით ელ.ენერჯის აზერბაიჯანიდან შექმნა წლების განმავლობაში საქართველოს შესაძლოა ისეთ ფინანსურ წნეხად დააწვეს, რომლის აწევაც ქვეყანას ძალიან გაუჭირდება. ამიტომ აზერბაიჯანულ ელ.ენერჯიაზე ენერჯეტიკული დამოკიდებულების ზრდა საქართველოსთვის სასურველი სცენარი არ არის.

საქართველოს შემთხვევაში, უმთავრესი ენერჯეტიკული უსაფრთხოებაა. ყველა მეზობელ ქვეყანაზე დამოკიდებულება გარკვეულ რისკებს მოიცავს, იქნება ეს პოლიტიკური თუ ფინანსური რისკები. ქვეყნის სტაბილური, შეუფერხებელი ფუნქციონირებისთვის კი ორივე ფაქტორი ძალიან მნიშვნელოვანია.

ენერჯეტიკული უსაფრთხოების გასაძლიერებლად ორი გზა გვაქვს. ენერჯომატარებლების დერეფნის ფუნქციის გაზრდა და საკუთარი გენერაციის მომატება.

→ საქართველოს ენერგეტიკისა და ენერგოდამოკიდებულების მიმოხილვა

განახლებადი ენერჯის პოტენციალის ათვისებით საქართველოს არც ერთი მეზობელი ქვეყნიდან იმპორტის განხორციელება აღარ დასჭირდება. განახლებადი ენერჯის ათვისება ასევე ექსპორტისა და ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის მნიშვნელოვნად გაძლიერების დიდ შესაძლებლობას იძლევა. გაზრდილი ენერგოდამოკიდებლობა ჩვენი ქვეყნის ენერგეტიკული და მაშასადამე ეროვნული უსაფრთხოების გარანტი უნდა გახდეს. ამისთვის, საქართველოს ჭირდება ენერგეტიკის მდგრადი განვითარება. სწორი გარემოსდაცვითი და სოციალური პოლიტიკის გატარება და ენერგეტიკის შესაბამისად განვითარება. კომუნიკაციის როლი ამ მიმართულებით კრიტიკულია. სწორედ ამგვარად აწყობილი ენერგოსექტორი შეიძლება იყოს გამოყენებული უცხოური თუ ადგილობრივი ინვესტორების მოსაზიდად და დამატებითი ეკონომიკური ზრდის გასაჩენად.



USAID
FROM THE AMERICAN PEOPLE



Economic Policy Research Center
ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი

USAID-ის ეკონომიკური მმართველობის პროგრამის შესახებ

USAID-ის ეკონომიკური მმართველობის პროგრამა 5-წლიანი, \$19 მილიონიანი პროექტია, რომელსაც ახორციელებს „დელოიტ კონსალტინგი“. პროგრამის მიზანია საქართველოს ეკონომიკური მმართველობის გაუჯობესება და ეკონომიკის განვითარება საზოგადოების საჭიროებათა გათვალისწინებით. <https://www.facebook.com/USAIDEconomicGovernanceProgram>

USAID-ის საქმიანობის შესახებ საქართველოში

აშშ-ს წამყვანი საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID) ხელს უწყობს საქართველოს დამოუკიდებლად დაგეგმოს, დააფინანსოს და განახორციელოს ქვეყნის განვითარებისთვის საჭირო გადაწყვეტილებები. 1992 წლიდან USAID-ი საქართველოს ისეთ დემოკრატიულ ქვეყნად გარდაქმნაში უწყობს ხელს, რომელიც ინტეგრირებული იქნება დასავლეთის პოლიტიკურ, უსაფრთხოებისა და ეკონომიკის ინსტიტუტებში. USAID-ის 35-ზე მეტი მიმდინარე პროგრამა მოიცავს შემდეგ მიმართულებებს: საქართველოს მავნე გარე ზეგავლენის წინააღმდეგ გაძლიერება, ანგარიშვალდებული მმართველობის ხარჯზე დემოკრატიული მიღწევების კონსოლიდაცია და მაღალანაზღაურებადი, მაღალხარისხიანი სამუშაო ადგილების შექმნა. დამატებითი ინფორმაციისათვის ეწვიეთ: <https://www.usaid.gov/georgia>

